ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №821421

ნომერი: AR1150202

თარიღი : 29.07.2013

გაცემის თარიღი : 01.08.2013

გაცნობის თარიღი : 05.08.2013

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გამზირი სარაჯიშვილი , N 5 , (ყოფ. ავჭალის გზატკეცილი N67) ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- მიხეილ ბეგიაშვილი პ/ნ 01024023623
- თბილისი, სერგი დანელიას 1

ნომენკლატურა :

- I კლასი
- ბანკომატის განთავსება
  კორექტირება
- შენობა-ნაგებობის ფასადისა და სახურავის სარემონტო და მოპირკეთებითი სამუშაოები, როცა ხდება ფერის ან მასალის ცვლილება
  კორექტირება

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების 65-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად

გადაწყვეტილება

ფასადზე I კლასის სარეკონსტრუქციო სამუშაოების და ბანკომატის მოწყობის კორექტირებული ესკიზური ფოტომონტაჟის საფუძველზე ცვლილების შეტანა

ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურში განხილულ იქნა თქვენი განცხადება თანდართულ დოკუმენტაციასთან ერთად, რომელიც ეხება ქ. თბილისში, სექტორი – გლდანი, სარაჯიშვილის გამზირი №5-ში (ყოფ. ავჭალის გზატკეცილი №67), შპს "პმკ 2013"-ის კუთვნილი ფართის ფასადზე სამსახურის მიერ 12.07.2013წ. №789265 წერილობითი თანხმობით გაცემულ სარეკონსტრუქციო სამუშაოების და ბანკომატის მოწყობის კორექტირებული ესკიზური ფოტომონტაჟის საფუძველზე ცვლილების შეტანას.

პასუხად გაცნობებთ, რომ ,,მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების 65-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად თქვენს მიერ განსახორციელებელი სამუშაოები თავისი მახასიათებლებით განეკუთვნება პირველი კლასის ობიექტს, რომლის განთავსება არ საჭიროებს მშენებლობის ნებართვას, თუმცა სამუშაოების განხორციელების შესაძლებლობას ადასტურებს ქ. თბილისის მერიის სსიპ ,,თბილისის არქიტეტქურის სამსახური".

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების თანახმად სამსახურმა შეამოწმა წარმოდგენილი დოკუმენტაციის (შპს "პმკ 2013"-ის საკუთრებაში არსებული ფართის ამონაწერი საჯარო რეესტრიდან №882013313852 10.07.2013წ. საკადასტრო კოდი №01.11.05.036.003.01.513, ასევე წარმოდგენილი საპროექტო ფოტომონტაჟი) ქალაქთმშენებლობით დოკუმენტებთან შესაბამისობა და ადასტურებს ქ. თბილისში, სექტორი – გლდანი, სარაჯიშვილის გამზირი №5-ში (ყოფ. ავჭალის გზატკეცილი №67), შპს "პმკ 2013"-ის კუთვნილი ფართის ფასადზე სამსახურის მიერ 12.07.2013წ. №789265 წერილობითი თანხმობით გაცემულ სარეკონსტრუქციო სამუშაოების და ბანკომატის მოწყობის კორექტირებული ესკიზური ფოტომონტაჟის საფუძველზე ცვლილების შეტანის შესაძლებლობას.

გაითვალისწინეთ: თუ განსახორციელებელი სამუშაოები ეხება შენობა–ნაგებობის მზიდკონსტრუქციებს, სამშენებლო სამუშაოების დაწყებამდე უნდამოიპოვოთ შესაბამისი დასკვნა განსახორციელებელი სამუშაოების უსაფრთხოების შესახებ.

ზემოაღნიშნული სამუშაოების ჩატარებისას, დამკვეთი ვალდებულია დაიცვას კანონმდებლობით, მათ შორის, სამშენებლო რეგლამენტებით გათვალისწინებული მოთხოვნები და ნორმები.

სამშენებლო დოკუმენტაციის სისწორეზე პასუხისმგებლობა ეკისრება დამკვეთს და დოკუმენტის შემსრულებელ პირს.

აქვე განგიმარტავთ, რომ ამ წერილით დადასტურებული სამუშაოების დარღვევით წარმოება გამოიწვევს კანონდებლობით დადგენილ პასუხისმგებლობას.

თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
" თბილისის არქიტექტურის სამსახური"
საქართველო, თბილისი 0160 ჟ. შარტავას 7
ტელ. (+995 32) 272 22 22
ფაქს. (+995 32) 237 82 24
info@tas.ge
უფრო მეტი - tas.ge